USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები და მათი გადაჭრის გზები

თემატური სამუშაო ჯგუფი:

ქალთა პოლიტიკური ჩართულობა

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო თემატური ჯგუფის – "ქალთა პოლიტიკური ჩართულობა" მიერ. პროექტი ხორციელდება საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

სამუშაო თემატური ჯგუფის წევრები: მარიამ სულამანიძე, თამთა კაციტაძე, მარიამ ლომიძე, გვანცა მალანია, გვანცა მიქაუტაძე, სოფო ნატრიაშვილი, თამარ ნიკოლეიშვილი, ლიკა ჩახუნაშვილი, თეონა ჩიქოვანი, სალომე ღონღაძე, თამარ ჭუმბურიძე, მარიამ გელეტაშვილი.

ჯგუფის მენტორი: თეონა ყუფუნია

რედაქტორი: მაკა თეთრაძე

სარჩევი

შესავალი..... 3

თავი 1. პოლიტიკაში მონაწილეობის ბარიერები ქალებისათვის.....6

თავი 2. ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საერთაშორისო და ადგილობრივი მექანიზმები.....9

საერთაშორისო ვალდებულებების მიმოხილვა.....9

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ადგილობრივი ვალდებულებებისა და გენდერული.....10
თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიმოხილვა

თავი 3. ზოგადი სტატისტიკა და არსებული მიდგომები.....12

თავი 4. პოლიტიკური პარტიების არსებული დღის წესრიგი და გენდერული პოლიტიკა 13

თავი 5. გენდერული კვოტა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული.....15
თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი.

დასკვნა და რეკომენდაციები.....18

გამოყენებული ლიტერატურა.....22

შესავალი

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში დემოკრატიული პროცესების საწინდარია. საქართველოში ქალები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს (53%), თუმცა მათ არაერთი ინსტიტუციური თუ კულტურული ბარიერის გადალახვა უწევთ პოლიტიკურ სარბიელზე თავის დასამკვიდრებლად.

ძირითადად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა სამი მთავარი მიმართულებით გამოიხატება: უფლება, აირჩიო პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უფლება, მიიღო მონაწილეობა პოლიტიკურ მმართველობაში და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები მექანიზმის დანერგვა.

პოლიტიკური პარტიები, მეტწილად, პატრიარქალური და მასკულინურია, სადაც გაუმჭვირვალეა მთელი რიგი პროცესები, მათ შორის, კანდიდატების რეკრუტირებისა და ნომინირების პროცესები, რაც ქმნის გადაულახავ ბარიერს ქალებისთვის. პარტიები, როგორც წესი, პარტიის წევრ ქალებს განიხილავენ, როგორც დამხმარე ძალას და არა თანაბარუფლებიან წევრებს გადაწყვეტილებების მიღებისას. გარდა ამისა, ორმაგი შრომა, რომელსაც ქალები ეწევიან – ოჯახსა და სამსახურში, ნაკლებ დროს უტოვებს ქალს, ჰქონდეს პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია. ამასთან, ქალებს ნაკლებად უგროვდებათ პროფესიული კავშირები. გავრცელებული სტერეოტიპით, ქალებისთვის პოლიტიკა „ბინძურ“ და სარისკო საქმედ მოიაზრება.

უთანასწორობის ამოსაფხვრელად საქართველოში კვოტირების მექანიზმი მოქმედებს, რაც იძლევა ქალთა პოლიტიკაში ჩართვის გარანტიას. ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკური პარტიები იცავენ გენდერულ კვოტას, რადგან კანონით მოეთხოვებათ ეს, თუმცა, საკითხავია, ახერხებს კი აღნიშნული მექანიზმი სრულად დაუპირისპირდეს იმ ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის მეტი ქალის მოსვლას პოლიტიკაში. წინამდებარე ნაშრომის მიზანია არსებული რეალობის კრიტიკული შეფასება და იმ ბარიერების გამოკვლევა, რომლებსაც ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას აწყდებიან.

მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საკითხებზე დაკვირვებას, პრაქტიკის განზოგადებას და კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებით არსებული მდგომარეობის შეფასებას. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა თემის ირგვლივ არსებული ნაშრომები, სტატიები, მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საკვლევ საკითხთან.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, რომლის ფარგლებშიც, მოძიებული იქნა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტი, სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირი ინტერვიუები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ქალთა პოლიტიკური ჩართულობის კუთხით არსებული შიდა რეგულირების და ბარიერების გამოკვლევის მიზნით.

ინტერვიუების ფარგლებში შესწავლილი იქნა ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- რა სახის ბარიერებს აწყდებიან პოლიტიკოსი ქალები;
- როგორია პარტიების გენდერული პოლიტიკა;
- რა საკითხებს ითვალისწინებს პარტიის წესები ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით;
- რა ეტაპების გავლა უწევთ ქალებს პარტიულ საქმიანობაში;
- რამდენად არსებობს პარტიებში ქალთა ფრთა;
- რა სახის ხელისშემშლელი გარემოებები არსებობს ქალებისთვის პოლიტიკური საქმიანობისას.

ჯამში ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ 7 პარტიის წარმომადგენელთან. კვლევაში მონაწილეობდნენ შემდეგი პარტიები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პარტია „ლელო საქართველოსთვის“, პარტია „გირჩი“, პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“, პარტია „ხალხისთვის“ და პარტია „გახარია საქართველოსთვის“. რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 24-დან 49 წლამდე. მათგან 5 რესპონდენტი კაცი, ხოლო 4 ქალია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპონდენტები წარმოადგენენ პარტიაში გადაწყვეტილების მიმღები სხვადასხვა ორგანოს წევრებს, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს. შედეგების წარმოდგენისას, დაცულია რესპონდენტთა კონფიდენციალურობა.

თავი 1.
პოლიტიკაში მონაწილეობის ბარიერები ქალებისათვის

2020 წლის გლობალური ინდექსის (ინდექსი 2020) შეფასებით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლების საკითხზე, საქართველო 136 ქვეყნიდან 97-ე ადგილზეა 27 ქალი პარლამენტარით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში გაიზარდა, ქალები კვლავ აწყდებიან ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის მათ მიიღონ სრულფასოვანი მონაწილეობა და წვდომა რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქალების არყოფნას პოლიტიკურ არენაზე სხვადასხვა დაბრკოლებები უძღვის წინ (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 2014). კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსების მიერ დასახელებული ბარიერები, შეგვიძლია დავყოთ შემდეგნაირად: სტრუქტურული, ინსტიტუციური და კულტურული ბარიერები.

სტრუქტურული ბარიერები იმ სახის ბარიერებია, რომლებსაც ქალები აწყდებიან პარტიის შიგნით კარიერულ გზაზე. ამ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების როლი მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მხრივ. პარტიებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც შემაფერხებელი, ისე ხელშემწყობი როლი ქალთა პოლიტიკურ წინსვლაში. სტრუქტურული ბარიერების გამო სულ უფრო ნაკლებად შევხვდებით ქალებს გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე. ევროპის 27 ქვეყნის მინისტრების 1990-2018 წლების პერიოდის კარიერის კვლევა გვაჩვენებს, რომ ქალებს უწევთ თავიანთი კარიერის განმავლობაში გაცილებით მეტი წელი ემსახურონ საქმეს, სანამ მაღალ თანამდებობას დაიკავებენ, ვიდრე კაცებს (Kroeber and Hüffelmann 2021). საქართველოში, პარტიაში ფუნქციების გადანაწილების მხრივ, როგორც წესი, კაცები იღებენ გადაწყვეტილებას პარტიისათვის ფინანსების მოძიებაში, მენეჯმენტში, საარჩევნო სიების მომზადებაში, ხოლო ქალები წარმოდგენილები არიან, როგორც აგიტატორები, საარჩევნო კომისიის წევრები და მდივნები, ასევე აქტიურები არიან მედიასთან, ჩართულები არიან მოხალისეობრივ საქმიანობაში. საბოლოოდ, გამოდის, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებში დომინანტობენ მამაკაცები (ევროპის საბჭო 2017). საქმიანობები დაყოფილია გენდერული როლების მიხედვით. ქალები ასრულებენ ისეთ რუტინულ სამუშაოს, როგორებიცაა: წერა და ბუღალტერია, აგიტაცია, მხოლოდ არჩევნების დღეს მუშაობა, დაბალანაზღაურებადი პარტიული სამუშაოები (ბაღრათია და სხვ. 2011). ამ სამუშაოების შესრულების საფუძვლად სახელდება ის გარემოება, რომ კაცებს ეთაკილებათ მსგავსი სამუშაოების შესრულება იმიტომ, რომ ანაზღაურებაა დაბალი.

კაცების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქალ კანდიდატებს ამომრჩეველი უპირატესობას არ ანიჭებს, ამიტომ იძულებულები ხდებიან, რომ კანდიდატად ისევ მამაკაცი დააყენონ, ხოლო ის ქალი კანდიდატები, რომლებმაც გადალახეს ეს სტერეოტიპი, დგებიან ბევრი წინააღმდეგობის წინაშე, ამ წინააღმდეგობებს კი პარტიული მამაკაცები იმით ხსნიან, რომ საზოგადოება მზად არ არის ამისათვის..ეს ყველაფერი კი ცალსახად ხელს უშლის ქალთა ჩართულობას და მზაობას, რომ გახდნენ აქტიურები ამ სფეროში (ევროპის საბჭო 2020).

შიდაპარტიულ ბარიერებზე საუბარი მეტნაკლებად რთული აღმოჩნდა კვლევის რესპონდენტებისათვის. შეკითხვაზე, რა შიდაპარტიული ბარიერები აქვთ ქალებს პარტიაში, მამაკაცი რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თქვა, რომ არანაირი. ქალი რესპონდენტები კი გამოყოფენ სხვადასხვა საკითხს, რომლებიც მათ, როგორც ქალ პოლიტიკოსებს, გარკვეულ დისკომფორტს უქმნის. თუმცა ქალი რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ არსებობს შიდაპარტიული ბარიერები, მაგრამ, ასახელებენ რამდენიმე ხელისშემშლელ ფაქტორს:

– აღსანიშნავია, რომ პარტიებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, ძირითადად, მამაკაცები არიან წარმოდგენილნი;

– საგულისხმოა ისიც, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ამ მხრივ გამორჩეულად მოწყვლადები არიან, განსაკუთრებით, რეგიონებში. ხშირად მათი პოლიტიკაში ჩართვა ხდება მამისა და მეუღლის ფინანსური მხარდაჭერით, რაც შემდგომ იარლიყების მიწებებასა და კანდიდატების ჩაგვრას იწვევს;

– იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ დაძაბული ფონია ქვეყანაში შექმნილი, პარტიებს, ხშირ შემთხვევაში, არ სცალიათ ქალი პოლიტიკოსების განსაკუთრებული გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის ქალი კანდიდატებისათვის;

შესაძლოა, პარტიის სხდომა ჩაინიშნოს არასამუშაო საათებში, საკმაოდ გვიან, რის გამოც ქალ პოლიტიკოსს, რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, ფაქტობრივად, ვერ მონაწილეობს შეხვედრაში;

სოციალურ–ეკონომიკური ბარიერები გულისხმობს ქალების სიღარიბეს, უმუშევრობას, ფინანსური რესურსების ნაკლებობას, განათლებაზე წვდომის პრობლემას. „ქალებისათვის განსაკუთრებით რთულია პოლიტიკაში ჩართვა, როცა ისინი ეკონომიკურად არ არიან დამოუკიდებლები. თუკი ქალებს ექნებოდათ მეტი ფინანსური შესაძლებლობა, მათ ექნებოდათ მეტი თავისუფლება გადაეწყვიტათ პოლიტიკაში უნდათ, ბიზნესში თუ სახლში“ – ამბობს კვლევაში მონაწილე პარტიის „გირჩი“ წარმომადგენელი. ამასთანავე, „რეგიონში სახელფასო შემოსავალი საკმაოდ დაბალია, ვიდრე ქალაქში და დიდწილად ქალ პოლიტიკოსებს ბავშვების ზრუნვის სერვისებზეც შეიძლება არ ჰქონდეთ წვდომა, ამ დროს კი გადაწყვეტილების მიღება რთულია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სანთლით საძებნელია ქალი, რომელიც მზად არის გაუძლოს ამ წნეხს. თუნდაც ის, რომ საკრებულოს შემადგენლობაში მათ არ ჰქონდეთ თანამდებობები, ასუსტებს მოტივაციას, რომ შევიდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში“ – ამბობს კვლევაში მონაწილე ქართული ოცნების ქალი წარმომადგენელი.

ქალები ყოველთვის ასრულებენ ბევრ საოჯახო საქმეს, მთელი რიგი პასუხისმგებლობები მათზეა განაწილებული, შესაბამისად, ისინი უფრო ნაკლებად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკაში. მაგრამ არსებობს იმ კატეგორიის ქალები, რომლებიც გამუდმებით მიიწევენ წინ და ცდილობენ პოლიტიკური კარიერა შეიქმნან. ხშირად ასეთ ქალებს უხდებათ თავი გაართვან, როგორც პროფესიულ, ისე საოჯახო მოვალეობებს. ქართული საზოგადოება აცნობიერებს იმ გამოწვევებს, რომლებსაც ქალები შრომის ბაზარზე აწყდებიან. გამოკითხული ქალების 85% და კაცების 58% თვლის, რომ კარიერაში ქალებს გაცილებით მეტი ბარიერისა და სირთულის გადალახვა უწევთ (UNDP 2020).

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ქალმა რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ოჯახური მოვალეობების შესრულება მათთვის ყველაზე დიდი დაბრკოლებაა ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის გზაზე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ქალი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საზოგადოება ხშირად არ უჭერს მხარს ქალებს, რომლებიც პოლიტიკაში წასვლას გადაწყვეტენ. ოჯახი, სოციუმი, სამეგობრო წრე, წინააღმდეგობას უწევს პოლიტიკაში წასვლის მსურველ ქალს იმ მოტივით, რომ „პოლიტიკა მამაკაცური სფეროა და სჯობს ქალმა აკეთოს ის საქმე, რომელიც კარგად იცის, სტაბილური და კომფორტულია მისთვის და ავიწყდებათ, რომ შეიძლება სწორედ პოლიტიკაში ხედავდეს ქალი საკუთარი თავის რეალიზების შანსს“. UNDP–ის კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სჯერა, რომ პოლიტიკა კაცების საქმე უფროა, ვიდრე ქალებისა. ეს გვეხმარება ქართული პოლიტიკის არსის გაგებაში, სადაც კონსტრუქციული თანამშრომლობის ნაცვლად, პოლიტიკური პროცესი, ძირითადად, კონფრონტაციასა და ურთიერთბრალდებებზეა დამყარებული. მართალია, რომ ქალები განსხვავებული პოლიტიკის გამტარებლები არიან, ვინაიდან მათი გამოცდილებაც განსხვავებულია.

პოლიტიკის კეთება მიჩნეულია, როგორც „ბინძური“ და კორუმპირებული საქმე. პარტია „ხალხისთვის“ წარმომადგენლის აზრით, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ბარიერები, პირველ რიგში, მოდის ოჯახიდან, სკოლიდან, გარემო პირობებიდან. „ძირითადად, ქალი მოაზრებულია, როგორც დიასახლისი და მათი საქმე შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის საქმით ან ისეთი სამსახურით, რომელიც დიდ დროს არ ითხოვს. ეს სტერეოტიპული დამოკიდებულება ხელს უშლის ქალს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთოს“. პარტიული ქალების წარმატებაზე დიდი გავლენა აქვს ოჯახსა და გარემოცვას. როგორც წესი, ახლობლების მხარდაჭერის და, შესაბამისად, წარმატების მიღწევის მაღალი შანსი აქვთ ისეთ ქალებს, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახი. პარტიის გეგმებში ვერ ხვდებიან ქალები, რომლებსაც ჰყავთ ქმარი ან შვილი. ამ უკანასკნელების პოლიტიკურ საქმიანობას მხარს ნაკლებად უჭერს გარემოცვა.

პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს ქალთა მონაწილეობის ბარიერების **გეოგრაფიულ მახასიათებელზეც.** მისი თქმით, არსებობს რეგიონები, რომლებშიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას არ აქვს გამორჩეულად რთული წინააღმდეგობები და ქალები ისევე არიან წარმოდგენილნი აქტიურ პოლიტიკაში, როგორც კაცები. მაგრამ, არსებობს რეგიონები, რომლებშიც სოციალურ-კულტურული გარემო დამატებით ბარიერებსა და წინაღობებს უქმნის პოლიტიკაში ჩართვის მსურველ ქალებს. „არის რეგიონები, სადაც ეს ბარიერები ნაკლებად თვალშისაცემია. ეს დამოკიდებულია ურბანულ განვითარებაზე. ურბანულ ცენტრებში და განათლებულ, ინტელექტუალურ საზოგადოებებში ეს განსხვავება არაა მკაფიო. ეს გულისხმობს სოციალურ, კულტურულ ასპექტებს და აქ ისმება ტოლობის ნიშანი განათლებასთან. ქალებში თვითდარწმუნების და თვითდამკვიდრების პრობლემა ზოგან ნაკლებია, ზოგან – მეტი. ეს, რა თქმა უნდა, სათქმელად მარტივია და პრაქტიკაში – რთულად განსახორციელებელი. ქალებს სჭირდებათ განათლების მიღება და თვითრწმენის გაზრდა, თუმცა ამაში სჭირდებათ ბევრი სექტორის, მათ შორის, მთავრობის და პოლიტიკური პარტიების ხელშეწყობა“.

ინსტიტუციური ბარიერების – ტიპის მაგალითი შესაძლოა იყოს საარჩევნო სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო სამსახურებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე, რადგან პროპორციული საარჩევნო სისტემის გზით უფრო მეტი ქალს ირჩევენ, ვიდრე მაჟორიტარული წესით არჩევისას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არცერთი ქალი არ არჩეულა, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემით – 30 ქალი აირჩა. პროპორციული საარჩევნო სისტემა ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს, ხმა მისცეს პარტიას და ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს. აქედან გამომდინარე, მანდატების გადანაწილება მიღებული ხმების შესაბამისად ხდება. ცხადია, მსგავსი ტიპის სისტემა გარკვეულ სტიმულს აძლევს პოლიტიკურ პარტიებს, გაზარდონ ქალთა რაოდენობა თავიანთ სიებში (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 2014). ინსტიტუციური ბარიერების აღმოსაფხვრელად, საქართველოში არაერთი მექანიზმი მოქმედებას, რომელსაც დაწვრილებით ცალკე თავში განვიხილავთ.

კულტურული ბარიერების შემთხვევაში პოლიტიკური კულტურა, ანუ არსებული დაუწერელი თანამშრომლობის წესები, რომლებიც წლების განმავლობაში დამკვიდრებულია გარკვეულ ქცევით ჩარჩოს ქმნის პოლიტიკაში მყოფი პირებისათვის. საქართველოში დამკვიდრებული პოლიტიკური „თამაშის წესები“ ნაკლებად არის გენდერულად მგრძნობიარე. პარტია „ლელოს“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მედიის როლი ქალთა გაძლიერების საკითხში უმნიშვნელოვანესია. თუმცა მაგალითისთვის პოლიტიკური ტოქშოუები, ძირითადად, გვიან საღამოსა ან ღამეა. დაოჯახებული პოლიტიკოსი ქალისთვის კი ტოქშოუებში ხშირად მონაწილეობის მიღება დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში პოლიტიკა ქაოსური და დაუგეგმავია. „შესაძლოა, უეცრად რომელიღაც საკითხი გამძაფრდეს, რის გამოც, უეცრად მოგიწიოს ქუჩაში გასვლა ან თათბირზე მისვლა არასამუშაო დროს. შესაბამისად, დაოჯახებული ადამიანისთვის, რომელსაც ჰყავს შვილები, კიდევ უფრო რთულია ასეთ ქაოსურ ვითარებაში არათუ გრძელვადიანი, არამედ უახლოესი დღეების დაგეგმვა“. რესპონდენტის თქმით, ასეთ დროს შესაძლოა ქალ პოლიტიკოსს მოუწიოს, რომ ან ოჯახის წევრებს დააკლოს ყურადღება, ან ვერ ჩაერთოს საკმარისად აქტიურად პოლიტიკურ ციებ-ცხელებაში და რაღაც პროცესებს ჩამორჩეს.

კიდევ ერთ ბარიერად სახელდება **ქალების გარეგნობა, ასაკი და სექსუალურობა.** ამ მხრივ საინტერესო და მტკივნეულია თავად პარტიული ქალების შეფასებები, აღმოჩნდა, რომ ისინი ამჯობინებენ პოლიტიკოსი ქალი არ იყოს სექსუალური და ახალგაზრდა, მათი აზრით, ეს არც საქმეს სჭირდება და პარტიული კაცების თვალშიც ისინი არასერიოზულად აღიქმებიან (ევროპის საბჭო 2017). „განსაკუთრებულად რთულად შესაგუებელია, საზოგადოების მხრიდან სოციალურ ქსელში არსებული რეპლიკები, კომენტარები, შეურაცხმყოფელი შეფასებები. კაცი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ქალებთან მიმართ საზოგადოება ხშირად უსვამს ხაზს ქალების გარეგნობას, ამცირებს ამ ნიშნით, რაც საკმაოდ დიდი სტრესი შეიძლება გახდეს პოლიტიკაში ჩართვის მსურველისათვის". – აღნიშნავს პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის" წარმომადგენელი. როგორც პარტია „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ქალი რესპონდენტი ამბობს, თვითდამკვიდრება გარემოში, სადაც ბევრი კაცია და თამაშის წესებიც საკმაოდ უხეში, საკმაოდ რთულია.

სიძულვილის ენის პრობლემა ქალის გააქტიურებისთანავე დგება დღის წესრიგში. „იქმნება საკმაოდ ნეგატიური გარემო. მართალია თავს ესხმიან ყველას, თუმცა ამ შემთხვევაში ქალები უფრო მოწყვლადები არიან. ქალებისთვის ეს კიდევ დამატებითი სტრესია. სოციალური ქსელი, რომელიც დღეს ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომია, ქმნის საკმაოდ მძიმე ფონს, რაც ქალისთვის რთულად გადასალახ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ჩვენი ოჯახის წევრები, ყველა ადევნებს თვალს ამას და როცა შეურაცხყოფასთან ერთად მუქარა და ლანძღვაც საკმაოდ ხშირია, ეს დიდი სტრესია ყველასთვის. როდესაც ამის გააზრება ხდება, სერიოზული დაბრკოლებაა ქალებისთვის, რომლის გადალახვაც საკმაოდ დიდ შინაგან მზაობას და დიდ ბრძოლებს მოითხოვს"–ამბობს პარტიის „ქართული ოცნება" ქალი წარმომადგენელი.

თავი 2.
ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საერთაშორისო და ადგილობრივი მექანიზმები

საერთაშორისო ვალდებულებების მიმოხილვა

არსებობს ძლიერი საერთაშორისო საკანონმდებლო მექანიზმები (დეკლარაცია, კონვენცია, რეზოლუცია, შეთანხმება, ხელშეკრულება, ქარტია, სხვ.), რომელთა მიზანს ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მხარდაჭერა და ბარიერების შემცირება წარმოადგენს. ამ კუთხით საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებთან თითოეული სახელმწიფოს შესაბამისობა განსხვავდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონვენციების რატიფიცირება და, მეორე მხრივ, მათი განხორციელება და რეალური გათვალისწინება ხშირად არ თანხვდება ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ მათი აღსრულება სავალდებულო გახდა კონვენციის რატიფიცირების შედეგად.

გაეროს კონვენციის „ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ" თანახმად, რომელიც 1952 წელს იქნა მიღებული, ქალებს არჩევნებში გარანტირებული აქვთ ხმის მიცემის უფლება, ასევე არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ყველა სახელმწიფო ორგანოში, სახელმწიფო პოსტების დაკავებისა და სახელმწიფო ფუნქციების შესრულების უფლებები. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 2005 წელს შეუერთდა (კონვენცია 2005).

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) გაეროს ასამბლეამ 1979 წელს მიიღო, ხოლო საქართველომ მისი რატიფიცირება 1994 წელს მოახდინა (ოქმი 1994). განსაკუთრებით საყურადღებოა კონვენციის მე–7 და მე–8 მუხლები. მათ თანახმად, სახელმწიფოები პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად მიიღებენ ყველანაირ ზომას; ქალებს უნდა ჰქონდეთ უფლება, აირჩნენ ყველა არჩევით ორგანოში, მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკისა და ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ფუნქციის განხორციელებაში, იკავებდნენ თანამდებობებს, მუშაობდნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში; ასევე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ქალების შესაძლებლობები, წარმოადგენდნენ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე და ა.შ.

საინტერესოა ასევე მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად, არ მიიჩნევა დისკრიმინაციულად. „ზომები" გულისხმობს აღნიშვნას კვოტირების სისტემების შესახებ.“ ეს ჩანაწერი გამოდგება კვოტირების მოწინააღმდეგეთა კონტრარგუმენტად, რადგან დროებით ღონისძიებებს საბოლოო თანასწორობისათვის არადისკრიმინაციულად მიიჩნევს (UNGA 1979).

2011 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მორიგი რეზოლუცია 66/130 იმავე სახელწოდებით, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებს მთელ რიგ მოთხოვნებს აკისრებს და ქალთა პოლიტიკურ ჩართულობას ყველა კონტექსტში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. შეგვიძლია, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: სახელმწიფოებმა წაახალისონ პოლიტიკური პარტიები, მოხსნან ყველა ბარიერი, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ქალების მონაწილეობაზე ახდენს დისკრიმინაციას; გააანალიზონ საკითხები გენდერული პერსპექტივიდან და მიიღონ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა შესაძლებლობას, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ ამ პოლიტიკურ პარტიებში გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე; ხელი შეუწყონ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარებისა და ცნობიერების ზრდას; გამოიძიონ არჩეულ ქალ კანდიდატებსა და პოლიტიკური თანამდებობის ქალ კანდიდატებზე ძალადობის, მათზე თავდასხმის ან შევიწროების ფაქტები, შექმნან ნულოვანი ტოლერანტობის გარემო ასეთი დანაშაულებისადმი; გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ხელი შეუწყონ განსაკუთრებით იმ ქალების ჩართულობას, რომლებიც შედიან მარგინალიზებულ ჯგუფებში, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების, სოფლად მცხოვრები, ეთნიკური/კულტურული/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, და აღმოფხვრან ამ გზაზე მათ წინაშე მდგარი ბარიერები (UNGA 2011).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აღნიშნულ კონვენციას ჯერ კიდევ 1994 წელს შეუერთდა, სახელმწიფოს მხრიდან ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები პროგრესირებადი, თუმცა მწირია. საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციების მოწოდება, სახელმწიფოებმა დაიცვან ქალთა თანასწორი წარმომადგენლობისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპები და მხარი დაუჭირონ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობას, არ არის საკმარისი. ყველა სფეროში ქალთა უფლებების დაცვა (დემოკრატიის მსგავსად) და ამ კუთხით პროგრესის მიღწევა განგრძობადი და სისტემური პროცესია და არა ერთჯერადი ქმედება ან ცალკეული პროგრამა.

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ადგილობრივი ვალდებულებისა და გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მიმოხილვა

საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება დაიწყო ბოლო ოცდაათი წელია, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან. როგორც ზემო თავში იყო აღნიშნული, 1994 წლიდან დღემდე საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო დეკლარაცია, პაქტი, კონვენცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომლებიც ავალდებულებს ხელისმომწერ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და მის დაცვას. საქართველომ აღიარებული ვალდებულებების ფარგლებში არაერთი რეკომენდაცია მიიღო, რომელიც უკავშირდებოდა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასა თუ სამუშაო ადგილზე თანასწორობის უზრუნველყოფის სტანდარტების საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად მოწესრიგებას.

საქართველოს კანონმდებლობაში გენდერული თანასწორობის დაცვის აუცილებლობა დემოკრატიული პროცესების მნიშვნელოვან ნაწილად არის განმარტებული. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა: ხელისუფლების ყველა შტოში და ყველა დონეზე ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის წახალისება; პოლიტიკურ პარტიებსა და მათ აღმასრულებელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა; კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა და მამაკაცთა სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2006).

საქართველომ აიღო ვალდებულება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, მოახდინოს დირექტივების ჰარმონიზება ეროვნულ კანონმდებლობასთან. მათ შორისაა, 2006/54/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით, კაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას. დირექტივის მიზნებისთვის, თანასწორი პირობების მიღწევა ეფუძნება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე თანაბარ წვდომას, თანაბარ სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებას, პროფესიული სოციალური უსაფრთხოების სქემებით თანაბრად სარგებლობასა და უზრუნველყოფას (ლიპარტელიანი & ქარდავა 2018).

2016 წელს საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოები, ხოლო აღმასრულებელ შტოში გამოიყო გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი თანამდებობა. შემუშავდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმები, რომელთა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა (რუკა 2022).

2020 წლის ივლისში პარლამენტმა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეიტანა ცვლილებები (რომლებიც მიღებული იქნა მესამე მოსმენით), რომლებიც ეხებოდა გენდერულ კვოტას (მუხლი 203) ძირითადი ცვლილებები შეეხო საპარლამენტო არჩევნებს: 2020 და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. კვოტის დაუცველობის შემთხვევაში, პარტიას ეძლევა 3 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, პარტიული სია ვერ დარეგისტრირდება; გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია ვალდებულია სიის ყოველ სამეულში ერთი მაინც შეიყვანოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. თუ არ არის დაცული აღნიშნული წესი, პარტიას 3 დღე ეძლევა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია ვერ დარეგისტრირდება; 2028 წლამდე ჩასატარებელ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში (2021 და 2025) სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი კანდიდატი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი (3 დღის ვადა აღმოსაფხვრელად, ადგილმონაცვლეობის იგივე წესი – იმავე სქესის წარმომადგენელი). მსგავსი რეგულაციები მოქმედებს საფრანგეთშიც, მაგალითად, აღსანიშნავია სანქცია, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლიტიკურ გაერთიანებას გარკვეული პროცენტით უმცირდება სახელმწიფო დაფინანსება. თუ ქალები მხოლოდ 40%–ით არიან წარმოდგენილნი სიაში და კაცები 60%–ით, განსხვავება ქალ და კაც კანდიდატებს შორის არის 20%. შესაბამისად სახელმწიფო დაფინანსება შემცირდება 20%–ის 3/4–ით, ე.ი. 15%–ით.

საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დამატებითი დაფინანსება ეხება 2020 და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს; იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურმა პარტიამ, ქალთა წარმომადგენლობა კანონით დადგენილ პროცენტულ მაჩვენებელზე მეტად უზრუნველყო, მოქმედებს ფინანსური წახალისების მექანიზმი. კანონით განსაზღვრულია ასევე ე.წ. ადგილმონაცვლეობის პრინციპი, როდესაც არჩეული პარლამენტის წევრების გამოკლების შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი (საქართველოს ორგანული კანონი 1997).

გარდა გენდერული კვოტირებისა, კიდევ ერთი ცვლილება მაჟორიტარული ოლქების რაოდენობას ეხება. თუ აქამდე თბილისის საკრებულოში 25 წევრი პროპორციული, 25 კი მაჟორიტარული წესით ირჩეოდა, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისი 10 მაჟორიტარული ოლქით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, გაიზარდა პროპორციული სიით გამსვლელი კანდიდატების რაოდენობა და საკრებულო 40/10–ზე პროპორციით დაკომპლექტდა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ქმნის ვალდებულებას გაიზარდოს ქალთა პოლიტიკური ჩართულობა ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე.

თავი 3.
ზოგადი სტატისტიკა და არსებული მიდგომები

საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს არსებობის არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვთ, თუ არ ჩავთვლით რესპუბლიკურ პარტიას, რომელიც არსებობის 40 წელს ითვლის. თუ თვალს გადავავლებთ უახლეს ისტორიას, გავიხსენებთ, რომ 90-იან წლებამდე საქართველოს (შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიებსაც) ცალკე სახელმწიფოდ არსებობის მხოლოდ სამწლიანი გამოცდილება ჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვების კვალდაკვალ, მრავალი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა ქვეყანა, მათ შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენდა და მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, აღნიშნული დღემდე პრობლემად რჩება.

თუკი შევისწავლით ქართულ პარტიებს, გადავხედავთ ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს, აღმოვაჩენთ ისეთ მნიშვნელოვან მიგნებებსა და პრობლემებს, როგორებიცაა, მაგალითად, პარტიებში ქალთა ჯგუფების სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი გეგმები, გენდერული აუდიტის უქონლობა, იგივე შეიძლება ვთქვათ გენდერული სტატისტიკის წარმოებასა და სისტემატიზაციაზე, ის სტატისტიკა კი, რომელიც ხელმისაწვდომია, ცხადყოფს, რომ რაც უფრო მაღალია ძალაუფლება, მით უფრო ნაკლებადაა ქალი წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ კვოტირების შედეგად, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, საკრებულოებში გაორმაგდა ქალთა რაოდენობა და შედეგად 441 ქალია არჩეული, რაც 24%-ია საკრებულოს წევრების. 2017 წლის ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებთან შედარებით გვაქვს 10%-ით ზრდა .2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა მხოლოდ 3 ქალმა მერმა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარე არსად არ არის ქალი. ასევე, არცერთი ქალი არ ასრულებს გუბერნატორის მოვალეობას. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს იმას, რომ კვოტირების მექანიზმის მიღმა პოლიტიკური პარტიები მზად არ არიან მიზანმიმართულად გაზარდონ ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში და ამით ხელი შეუწყონ ქალების რეალურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ე.წ. (meaningful participation).

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალებმა 150 ადგილიდან 17 ადგილი მოიპოვეს, რაც საერთო რაოდენობის 11% შეადგენს. 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში, საქართველოში არჩეულ კანდიდატთა შორის 11.1% იყო ქალი (არჩევნების ეროვნული სტატისტიკა 2022). ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდ 14%-მდე. 2020 წელს პარლამენტში 20% გახდა ქალი დეპუტატების რაოდენობა. დღეის მოცემულობით კი პარლამენტში 27 დეპუტატი ქალია.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა, მათი გააქტიურება და მხარდაჭერა ასე გამოიყურება:

გრაფიკი 1. საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ქალი წევრები



გრაფიკი გვიჩვენებს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ქალი წევრების რაოდენობას შორის თანაფარდობას. პროპორციული საარჩევნო სისტემა ხასიათდება ზრდის ტენდენციით, ამის პარალელურად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ქალების რაოდენობა კიდევ უფრო კლებულობს.

გრაფიკი 2. საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული
საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული წევრები.



აქ როგორც ჩანს, პროპორციულ საარჩევნო სისტემას აქვს დაბალანსების პერსპექტივა, რაც ნიშნავს იმას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამ სისტემის საფუძველზე არჩეული წევრების რაოდენობა გენდერულად გათანაბრდება. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გრაფიკის მიხედვით, ეს პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

2018 წლის 28 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 38,64% (615572 ხმა) მიიღო. ეს იყო პირველი ისტორიული პოლიტიკური მოვლენა საქართველოში, როცა პირველად ჩვენს ქვეყანას ჰყავდა ხალხის მიერ არჩეული ქალი პრეზიდენტი.

თავი 4.
პოლიტიკური პარტიების არსებული დღის წესრიგი და გენდერული პოლიტიკა

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გამოკითხვის ანალიზმა გამოკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომელთაც პოლიტიკურ პარტიებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიმართულებით ვაწყდებით. აღმოჩნდა, რომ პარტიების ნაწილს ზუსტი ინფორმაცია არ აქვს იმის შესახებ, აგროვებს თუ არა საკუთარი პარტია გენდერულად სეგრეგირებულ ინფორმაციას. მსგავსი ინფორმაციის არ ქონა პარტიებს ხელს შეუშლის გაზომონ გენდერული კუთხით მიღწეული პროგრესი, დაგეგმონ პროგრამა, მიზნობრივად დახარჯონ თანხა და მოარგონ ის ამომრჩეველს, რადგან ამავე დროს პარტიების წარმომადგენლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათი მხარდამჭერთა უმეტესი ნაწილი ქალია. აქვე, აღსანიშნავია პარტია „გირჩის“ წარმომადგენლის დამოკიდებულებაც. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულ პარტიაში არ ფლობენ გენდერულად სეგრეგირებულ ინფორმაციას და უფრო მეტიც, არც მიაჩნიათ საჭიროდ მსგავსი ბაზის შექმნა, რადგან, როგორც აღნიშნეს „მხარდამჭერი მხარდამჭერია და მათ სქესის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით არ გამოვყოფთ“.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიები გენდერულად სეგრეგირებულ ინფორმაციას არ ფლობენ, აღმოჩნდა, რომ მათი წესები/წესდება ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისაკენ მიმართულ ნაბიჯებს ითვალისწინებს. უმეტესს პარტიას საკმაოდ აქტიურ კამპანიებსა და ქმედით ნაბიჯებს მიმართავენ ქალთა გაძლიერებისათვის. პარტია „ლელოს“ წესდებაში უწერია თანასწორობის გაძლიერება და პრინციპის „მეტი ქალი პოლიტიკაში“ დაცვა. ასევე, პარტიის ხელმძღვანელობის დიდი ნაწილი ქალებისგან შედგება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტია აქტიურად იყო ჩართული ქალთა გაძლიერების საკითხში და ცალკე თავი მიუძღვნეს ამ საკითხს. ამავე არჩევნების დროს, პარტიას ცალკე ჰყავდა ჯგუფი, რომელიც ქალი წევრების მიღებაზე მუშაობდა, განსაკუთრებით, რეგიონებში. ისინი, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში აქტიურად მუშაობდნენ ამ მიმართულებით და სწორედ ამ და მსგავსი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ მათ 12 ლიდერი ქალის წარდგენა შეძლეს.

პარტიული წესდების მიხედვით, ქალების გაძლიერება პრიორიტეტულია „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“. პარტიის წესდების მიხედვით, „უნდა მოხდეს ქალების გაძლიერება წარმომადგენლობით ორგანოებში და ასევე არჩევნებში. ნაციონალური მოძრაობა პარტიის შიგნით ქალებისთვის ქმნის კონკრეტულ პლატფორმებს, კონკრეტულ თანამდებობებს, ასევე აქტიურად ხდება მუშაობა ქალების პროფესიულ გაძლიერებაზე. ამ კუთხით იმართებოდა და ახლაც იმართება სამუშაო შეხვედრები, ქალთა გაძლიერების, ქალი თავმჯდომარეების და პარტიის ქალთა წარმომადგენლების გაძლიერების მიზნით“ – ამბობს, კვლევაში მონაწილე ნაციონალური მოძარაობის წარმომადგენელი.

რაც შეეხება პარტიას „გახარია საქართველოსთვის“, მისი წარმომადგენლის აზრით, „პარტიის წესებიც და წესდებაც ითვალისწინებს იმას, რომ გენდერული ბალანსი იქნას დაცული და თუ ქალებს აქვთ სურვილი და ხელს უწყობთ განათლება–გამოცდილება, მწვანე შუქი ჰქონდეთ პარტიაში. მათი აზრით, ამას მოწმობს ისიც, რომ პარტიის ხელმძღვანელის ერთ–ერთი მოადგილე არის ქალი“.

პარტია „ხალხისთვის“ ასევე მუშაობს ქალთა გაძლიერების საკითხზე და ამ მიზნით ხშირად ერთვებიან იმ ტრენინგებსა და სემინარებში, რაც ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისკენაა მიმართული.

რაც შეეხება „გირჩს“, პარტიის მიდგომა აქაც განსხვავებულია. პარტიის წარმომადგენლის თქმით, მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე, ადამიანებს არ ყოფენ რაიმე ნიშნით. „ინდივიდი არის ინდივიდი. რაც კი შეიძლება თანასწორობაა შესაძლებლობების მხრივ. იმ ჰორიზონტების მიხედვით, რაც შეიძლება ადამიანს აინტერესებდეს. ნებისმიერ ადამიანს, ვინც იზიარებს გირჩის შეხედულებებს შეუძლია გაწევრიანდეს პარტიაში და შეიძინოს მხარდამჭერები და ახალი პლატფორმა. არ გვჯერა პოზიტიური დისკრიმინაციის, ჩვენ გვჯერა იმის, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები და გირჩი სწორედ ასეთ პლატფორმას წარმოადგენს... რაიმე წესები არ უნდა არსებობდეს, რომელიც ადამიანს მოუწოდებს ან ჩაერთოს პოლიტიკაში, ან დაიჩაგროს მისი სქესის გამო“.

თავი 5.
გენდერული კვოტა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი

კვოტა ის საკომპენსაციო და სამართლიანი მექანიზმია, რომლის მიზანია დაეხმაროს ქალებს რეალური ბარიერების გადალახვაში. საქართველოში კვოტირების მექანიზმი წარმოადგენს პოლიტიკური გარემოს დემოკრატიზაციისა და სამართლიანი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს რაც იძლევა საშუალებას პარლამენტის წევრთა არანაკლებ 20% იყოს ქალი. დღესდღეობით კვოტირების სისტემა მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება. კვოტის, დაწესებით შესაძლებელია გაიზარდოს ალების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე და მათ მიერ მენეჯერული პოზიციების დაკავება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და აკადემიურ სფეროებში ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი გახდეს. ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 10 იყენებს სავალდებულო კვოტირებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტებისას. ბელგია, ესპანეთი, სლოვენია, პოლონეთი, ხორვატია ა.შ. (GYLA 2019)

ბელგიაში 2002 წლიდან მოქმედებს 50%-იანი კვოტა. სავალდებულო კვოტირების მოთხოვნა ვრცელდება პარლამენტის ორივე პალატაზე ასევე ადგილობრივ არჩევნებზე. ბოლო 15 წლის განმავლობაში ბელგიამ ამ მიმართულებით ამბიციური რეფორმები განახორციელა. 2007 წელს მკაცრი გენდერული კვოტირების კანონმდებლობის იმპლემენტაციის შემდეგ, ქვედა პალატაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელმა 38%-ს მიაღწია. ახალი წესი ადგენს, რომ წარმომადგენელთა პალატაში ერთიან სიაში ქალებისა და კაცების წარმომადგენლობა განისაზღვროს 50-50%-ით ორი კანდიდატიდან ერთი უნდა მიეკუთვნებოდეს განსხვავებულ სქესს (Freidenvall, 2013). ს საფრანგეთში 2000 წლიდან მოქმედებს 50%-იანი კვოტა. ის იყო მსოფლიოში პირველი სამაგალითო ქვეყანა, რომელმაც 50%-იანი გენდერული პარიტეტის დებულება მიიღო (DEA 2022). ასევე საინტერესო და კარგი მაგალითი გხვდება იტალიაშიც, 2017 წლის საარჩევნო კანონის მიხედვით, ხელს უწყობენ ქალების მონაწილეობას დეპუტატების პალატასა და სენატში. პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების 10% უნდა დახარჯონ ისეთ აქტივობებზე რომლებიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკაში. ესპანეთს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი 5 კანდიდატიდან 2 ქალი მაინც უნდა იყოს (GYLA 2019).

დღეს მსოფლიოში პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის საშუალო მაჩვენებელი 1995 წლიდან შედარებით (11,3%) 2-ჯერ გაიზარდა და 20% შეადგენს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიომ 25 წლის წინ დასახულ მიზანს მიაღწია. პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ზრდა სავალდებულოა ე.წ კრიტიკულ ზღვრამდე – 40% -მდე. შესაბამისად, მსოფლიოს ქვეყნები ახლა უკვე მსჯელობენ ახალ მიზანზე. 2030 წლამდე ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი კანონი/მექანიზმი გენდერული კვოტირების შესახებ, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობას 50%-ით (ჭიპაშვილი 2020).

უკანასკნელი 25 წლის მონაცემებით, საქართველო ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით პროგრესირებს. გენდერულ კვოტებთან დაკავშირებით NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, რომელიც 2019 წლის ივლისში ჩატარდა, ჯამში საქართველოს მოსახლეობის 65% მხარს უჭერდა სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღებას (NDI 2019).

საქართველოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება პარტიულ სიებში გენდერული კვოტის შემოღება იყო. პროპორციულ-პარტიული სიების 6882 კანდიდატს შორის 44.3% (3049) ქალი იყო, მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის კი მხოლოდ – 21.75% (492 კანდიდატიდან 107). ჯამში, პარლამენტში აირჩიეს 30 ქალი (20%). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი აღემატება წინა არჩევნების მაჩვენებელს (16% გენდერული კვოტის გარეშე), ის მაინც ჩამოუვარდება მიზნობრივ 25%-ს, რომელიც კვოტით იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ 29 ქალი პარლამენტარი პარტიული სიების საშუალებით აირჩიეს, ხოლო ერთი – მაჟორიტარული წესით (Frogee 2021).

საქართველოში კვოტირებას ჰყავს, როგორც სრულიად მომხრე, ასევე სანახევროდ მხარდამჭერი პარტიები და პარტიები, რომლებიც საერთოდ არ უჭერენ მხარს ამგვარ მექანიზმს. კვოტირების მომხრეების ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ ქალთა ჩართულობის გაზრდას სჭირდება დამატებითი მექანიზმები, რაც არ უნდა „ხელოვნური" იყოს ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გენდერულად თანაბარ ჩართულობას ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ცვლილება სჭირდება, რომელმაც შესაძლოა წლები და თაობები მოიცვას (ჯემნიუსი 2020). „ჩვენი პარტია აცნობიერებს კვოტირების საჭიროებას და ემხრობა ქალების რაოდენობის გაზრდას აქტიურ პოლიტიკაში. თავად მიმაჩნია, რომ ქალები უნდა იყვნენ წარმოდგენილი 50 %-ით პოლიტიკაში, რადგან ქვეყნის 50%-ზე მეტი ქალია და ისინი უკეთ შეძლებენ საკუთარი უფლებების ადვოკატირებას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და შეიმუშავებენ გენდერულად სენსიტიურ საკანონმდებლო ჩარჩოს"– ამბობს, კვლევაში მონაწილე პარტიის „სტრატეგია აღმაშენებელი" წარმომადგენელი. პარტია „ხალხისთვის" მხარს უჭერს კვოტირების სისტემას თუმცა „მოკლევადიანი პერსპექტივით, მანამ, სანამ ბუნებრივად არ მოხდება ბალანსის დაცვა, საჭიროა მსგავსი იმპულსებით იმ სეგმენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, რომელსაც ამ კონკრეტულ მომენტში სჭირდება ეს".

კვოტირების კანონპროექტის მიღებამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ კანონპროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში პარტიული სიის შედგენისას პროფესიონალიზმზე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა ლოიალურობა, ნეპოტიზმი, ფული, გავლენა და პარლამენტი არაკომპეტენტური ქალებით დაკომპლექტდებოდა (კახიშვილი 2020). დაუსაბუთებლად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, ქალების არაკომპეტენტურებად შეფასება ცხადია, არასწორია. კვოტირების მოწინააღმდეგეების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია ის, რომ ეს ქალებისთვის შეურაცხმყოფელია და კვოტირების სისტემა ახდენს ქალების დისკრედიტაციას, რაც მათ წარმოაჩენს არაკონკურენტუნარიანებად. ამ მოსაზრებას კვლევაში მონაწილე ორი პარტია იზიარებს. „ვიღაცისთვის ხელის შეწყობა ავტომატურად ნიშნავს ვიღაცისთვის ხელის შეშლას. ამიტომ, ნებისმიერ ხელოვნურ მექანიზმს, ნებისმიერ დისკრიმინაციას (თუნდაც პოზიტიურს) ვემიჯნებით და ვეწინააღმდეგებით. ნებისმიერმა მექანიკურმა ჩარევამ, შეიძლება დათვური სამსახურიც კი გაუწიოს ქალებს. კვოტირების კანონი, რომელიც გვავალდებულებს სიაში ქალთა გარკვეული რაოდენობის ჩასმას, გარკვეულ პრობლემებს ქმნის პატარა პარტიებისთვის გარკვეულ რეგიონებში, სადაც ქალთა მონაწილეობის პროცენტი ძალიან დაბალია. ასევე, კანონი გარკვეულ რეპუტაციულ ზიანს აყენებს ქალებს, რადგან აღიქმება ისე, თითქოს ყველა ქალი, რომელიც პოლიტიკაში მოდის, იქ გარკვეული კვოტის გამო, ხელოვნურად აღმოჩნდა, რაც ქალების, როგორც პოლიტიკოსების როლსაც გარკვეულწილად აკნინებს" – ამბობს პარტიის „გირჩი" წარმომადგენელი. პარტია „გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენლის თქმით, მისთვის, როგორც რიგითი ადამიანისათვის, ეს კანონი მეტად ზღუდავს პარტიებს და შეურაცხმყოფელია ჭკვიანი ქალისთვის. „თუმცა, აქ არის ერთი დიდი მაგრამ!.. ხელოვნური ბარიერები, არსებული სიტუაცია, სოციალურ-კულტურული გარემო, რაც ამ ეტაპზე არსებობს საქართველოში, აუცილებლად საჭიროებს ხელოვნურ კვოტას, რომელიც შემდგომ ბუნებრივ შესაძლებლობებში უნდა გადაიზარდოს".

ზოგიერთი პარტიის მოსაზრებით, კვოტირების სისტემა საჭიროებს სამომავლო დახვეწას და განვითარებას. „მეტი ქალის არჩევისა და კვოტირების ეფექტიანობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საარჩევნო სიაში კანდიდატთა ადგილების გადანაწილების წესის დაცვა. როგორც სავალდებულო, ისე პარტიული კვოტირებისას კვოტის დებულებები უნდა მოიცავდეს წესებს საარჩევნო სიაში კანდიდატების განლაგების („გამსვლელი ადგილების“) შესახებ, რათა მდედრობითი სქესის კანდიდატები არ მოხვდნენ სიის ბოლოში. კვოტის სისტემამ, რომელიც ამ საკითხს არ ითვალისწინებს, შეიძლება, საერთოდ ვერ აღმოფხვრას ქალთა წარმომადგენლობის პრობლემა” (GYLA 2019).

ზოგი პარტიის წარმომადგენელი კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ კვოტირების სისტემა არ არის ქალთა მაღალი ჩართულობის გარანტი. „კვოტირებაზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. ქალების ჩართულობისთვის კარგი იქნება თანაბარი პირობების შექმნა“ – ამბობს პარტიის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ წარმომადგენელი. „თუ სისტემურადაც არ მოხდა ძირეული ცვლილებები, მხოლოდ კანონის გაუმჯობესებით ვერ გაუმჯობესდება სიტუაცია, თუნდაც კანონმა პარტიებს სიის შედგენაში, ყოველი მეორე ქალი დაასახელებინოს. თუ პოლიტიკის სტრუქტურაც არ შეიცვალა და დარჩა ისევ ასეთი აგრესიული და მუშტი–კრივზე ორიენტირებული, ქალებს ძალიან გაუჭირდებათ“ – ამბობს პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენელი.

ასეა თუ ისე, კვოტირების სისტემა უკვე კანონით არის განსაზღვრული და მან, გარკვეულწილად, შეცვალა ქართული პოლიტიკური სპექტრის გენდერული დისბალანსი. თუ შევადარებთ 1992 წლიდან დღემდე ქალთა პროცენტულ მაჩვენებელს საქართველოს პარლამენტში დავინახავთ პოზიტიურ ცვლილებებს დინამიკაში, თუმცა დღეს არსებული რიცხვი, მაინც არ ქმნის იმ რაოდენობას, რაც რეალურად ასახავდა გენდერულად სამართლიან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოში ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში სულ უფრო იზრდება. ეს პროგრესი განპირობებულია იმ საერთაშორისო და ადგილობრივი მექანიზმებით რაც ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრავს. ამის მიუხედავად, კვლავ არსებობს ხილული და უხილავი ბარიერები, რომლის წინაშეც დგანან ქალი პოლიტიკოსები და მათთან გამკლავება ყოველდღიურად უწევთ. აღნიშნული ბარიერების დასახელება შეგვიძლია კვლევაში გამოვყოთ მიგნებების სახით, რადგან კვლევის ერთ-ერთ მიზანს არსებული ბარიერების აღმოჩენა წარმოადგენდა:

1

ოჯახური მოვალეობების შესრულება ქალებისთვის ყველაზე დიდი დაბრკოლებაა ეკონომიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის გზაზე. პარტიული ქალების წარმატებაზე დიდი გავლენა აქვს ოჯახს და გარემოცვას. როგორც წესი ახლობლების მხარდაჭერის და შესაბამისად წარმატების მიღწევის მაღალი შანსი აქვთ ისეთ ქალებს, რომლებსაც არა ჰყავთ ოჯახი;

2

არსებული პოლიტიკური კულტურის „ფეხის აწყობა“ განსაკუთრებულად რთულია პოლიტიკაში მყოფი ქალებისთვის, რომელიც ამავე დროს შეიძლება იყვნენ დედები ან იყვნენ ორსულად. მაგალითად, გვიან საათებში თათბირების დანიშვნა, ტოქშოუები, რომლების ჩაწერაც გვიან ღამით ხდება, დაუგეგმავი პოლიტიკა, რომელიც პოლიტიკისთვის დაუგეგმავ სამუშაო მოქნილობას ითხოვს;

3

პოლიტიკოსი ქალები ამჯობინებენ, ხაზი არ გაესვათ მათ სექსუალურობას, გარეგნობასა და ასაკს. მათი აზრით, ეს არც საქმეს სჭირდება და პარტიის კაცების თვალშიც ისინი არასერიოზულად აღიქმებიან;

4

საჯაროობა და სიძულვილის ენა ქალებთან მიმართებაში სპეციფიკურია და რესპონდენტების თქმით, მოქმედებს როგორც მათზე ასევე უარყოფით გავლენად ახდენს მათი ოჯახის წევრებზეც.

კვლევის მეორე მიზანს წარმოადგენდა გაერკვია, როგორია კვლევაში მონაწილე პარტიების გენდერული პოლიტიკა და რა დამოკიდებულება აქვთ მათ ქალთა ჩართულობის გაზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული შვიდი პარტიიდან დამოკიდებულებები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათ მაინც აქვთ საერთო ტენდენციები, რომლებიც მიგნებების სახით შეგვიძლია, ასე წარმოვადგინოთ:

5 ქართული პარტიების დიდი ნაწილის წესდება ითვალისწინებს ქალთა გაძლიერებას და მხარდაჭერას;

6 პარადოქსულია ის ფაქტი, რომ პარტიებში არ არსებობს გენდერულად სეგრეგირებული ინფორმაცია, თუმცა უმეტესობა აღიარებს, რომ მათი მხარდამჭერებისა და პარტიული აქტივის დიდ წილს ქალები წარმოადგენენ;

7 მიუხედავად იმისა, რომ უჭირთ შიდაპარტიულ ბარიერებზე საუბარი, ქალი პოლიტიკოსები ხედავენ და აღიარებენ იმ პრობლემებს, რაც ნებისმიერი ქალის წინაშე შეიძლება არსებობდეს პოლიტიკაში ჩართვის სურვილის ქონის შემთხვევაში;

8 პარტიების უმეტესობა თანხმდება, რომ სოციალურ–კულტურული გარემო, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები და გამჯდარი ჩვევები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალების პოლიტიკაში ჩართვის საკითხში;

9 პარტიების უმეტესი წარმომადგენელი, მიუხედავად მათი პირადი დამოკიდებულებისა კვოტირების საკითხთან დაკავშირებით, თვლის, რომ კვოტირება გარდაუვალად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილება იყო, რომელმაც რეალური გავლენა მოახდინა ქართულ პოლიტიკაზე.

ზემოთ აღნიშნული კვლევის მიგნებების, სტატისტიკისა და ლიტერატურის ანალიზის შედეგად, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მისაღწევად ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

- პარლამენტმა გადახედოს არსებული კანონის (საარჩევნო კოდექსში) კვოტირების საკითხს და მოამზადოს შესაბამისი ცვლილებები იმისთვის, რომ დაბრუნდეს ჩანაწერი ყოველი მეორე განსხვავებული სქესის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შექმნილ სიების ფორმირების პროცესში;
- სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლისთანავე გადაეწყოს კვოტირების სისტემა ისე, რომ ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში იყოს არაუმცირეს 30%–ისა, რაც კრიტიკულ მასასთან მიახლოებული იქნება;
- კვოტირების კანონი გაგრძელდეს 2032/2028 წლის შემდგომაც და იქამდე, სანამ თანასწორი მონაწილეობა არ იქნება ბუნებრივად მიღწეული.

ადგილობრივი თვითმართველობისათვის

- გენდერული თანასწორობის საბჭოები, როგორც ადგილობრივად გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი ერთადერთი რგოლი, უნდა იღებდნენ დაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რათა მათ მუნიციპალიტეტებში შეძლონ გენდერული პოლიტიკის გატარება და სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებების ადეკვატური ასახვა პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმებში ასახული უნდა იყოს ღონისძიებები / აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას და ასევე, გაზრდის მუნიციპალიტეტებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობას;
- პოლიტიკურმა პარტიებმა მიზანმიმართულად ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივად ქალების ჩართულობის და მონაწილეობას გაზრდას გადაწყვეტილების მიმღებ პროცესებში მუნიციპალიტეტებში;
- ადგილობრივმა გენდერულმა საბჭოებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი გენდერულად სეგრეგირებული ინფორმაციის შეგროვებას.

პოლიტიკური პარტიებისათვის

- გენდერული თანასწორობა გახდეს პარტიის საარჩევნო სტრატეგიის ნაწილი: გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება მკაფიოდ უნდა აღინიშნოს პოლიტიკური პარტიების ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში, შინაგანაწესსა და პოლიტიკურ დოკუმენტში (მაგალითად, პოლიტიკური პარტიის პროგრამა);
- გენდერული თანასწორობა უნდა გახდეს პოლიტიკური პარტიების სტრატეგიული კომუნიკაციის ნაწილი, მათ შორის ონლაინ სივრცეში;

- მიუხედავად სავალდებულო გენდერული კვოტის არსებობისა, უნდა დაწესდეს შიდაპარტიული კვოტა, რათა შეიცვალოს ქალთა მცირე წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე პარტიებში (მაგალითად, პოლიტსაბჭოში განისაზღვროს ქალების კვოტა), ასევე მოხდეს ქალების ნომინირება პარტიული სიების გამსვლელ ადგილებზე;
- პოლიტიკურ პარტიებში უნდა შეიქმნას შიდა მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პარტიის წევრთა ცნობიერების ამაღლებას ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის (მათ შორის, კიბერძალადობის) იდენტიფიკაციის, პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით;
- პარტიებმა უნდა გაიაზრონ ორმაგი ტვირთი, რომელიც ქალებს აკისრიათ – ოჯახისა და პროფესიული განვითარების კუთხით და უნდა უზრუნველყონ პირობები, რომლებიც ქალებს საშუალებს მისცემს სრულფასოვნად იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში და თან შეძლონ ოჯახზე ზრუნვა. მაგალითად, პარტიის ლიდერებს შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება, რომ პარტიისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეხვედრები ჩაინიშნოს 10-დან 6-საათამდე პერიოდში და არა ღამის საათებში;
- პარტიებმა უნდა შექმნან ქალთა ორგანიზაციების სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები;
- პოლიტიკურმა პარტიებმა პერიოდულად უნდა ჩაატარონ პარტიის გენდერული აუდიტი, რაც მათ საშუალებას მისცემს, მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას გენდერული გამოწვევების შესახებ და დროულად უპასუხონ მათ.

მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის

- პოლიტიკურ პარტიებთან და არჩეულ თანამდებობის პირებთან ადვოკატირება გაუწიონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს;

  მოაწყონ სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრები, რომლებზეც სხვადასხვა განიხილავენ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს და ცვლილების დასაჩქარებლად საჭირო ინტერვენციას საქართველოს კონტექსტში;
- არჩევნებზე დაკვირვების ფარგლებში გააგრძელონ საარჩევნო დამკვირვებლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის (ყველანაირი ფორმით, მათ შორის, ონლაინ სივრცეში) მონიტორინგის განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 2014, ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3w9NYur ბოლოს ნანახია: 13.05.2022
არჩევნების ეროვნული სტატისტიკა, 2022 ხელმისაწვდომია: https://genderstatistics.cec.gov.ge/ ბოლოს ნანახია: 13.05.2022

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2020, "კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება" ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yzdfzM ბოლოს ნანახია: 13.05.2022

გაეროს გენერალური ასამბლეა 2011, 66/130 რეზოლუციის განახლება: ქალები და პოლიტიკური მონაწილეობა. ხელმისაწვდომია: https://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/66/130 ბოლოს ნანახია: 13.05.2022

გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსი, 2020; ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3pfHeVM ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ევროპის საბჭო, 2017 რეგიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ng2y9r ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ევროპის საბჭო 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yzdfzM ბოლოს ნანახია: 13.05.2022

თამარ ბაღრათია და მედეა ბადაშვილი, დავით ჯეჯელავა, ირაკლი ხმალაძე 2011, შიდა პარტიული დემოკრატია და ადგილობრივი თვითმართველობა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Pb6Wbv ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ლევან კახიშვილი 2020, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge-ლევან კახიშვილი ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ლიკა ჭიპაშვილი 2020, გენდერული კვოტირება - ყველაზე ცუდი მექანიზმი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდისა, მაგრამ უკეთესი არ არსებობს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ssEeJi ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ლიპარტელიანი რ., ქარდავა ე. 2018, „საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქალთა შრომით უფლებებთან დაკავშირებულ დირექტივებთან", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qqr4sx ბოლოს ნანახია: 13.05.2022

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2019, სავალდებულო გენდერული კვოტა საპარლამენტო არჩევნებისას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/kvota.pdf ბოლოს ნანახია: 13.05.2022

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,2019, „გენდერული კვოტა საპარლამენტო არჩევნებისას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში".

საქართველოს ორგანული კანონი, 1997 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=37 ბოლოს ნანახია: 13.05.2022

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2006, „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov-.ge/ka/document/view/44014?publication=0 ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი 1994, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860268?publica-tion=0 ბოლოს ნანახია: 13.05.2022

„ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ” კონვენციასთან შეერთების თაობაზე, 2005, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43084?publication=0 ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის რუკა, ხელმისაწვდომია: http://www.ginsc.net/home.php?cat=0&sub=0&mode=100&lang=ge ბოლოს ნანახია: 13.05.2022

ჯემნიუსი 2020, გენდერული კვოტები. მომხრეების და მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტები ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/genderuli-kvotebi-momkhre-mowinaaghmdege/ ბოლოს ნანახია: 13.05.2022

Corinna Kroeber and Joanna Hüffelmann 2021, It's a Long Way to the Top: Women's Ministerial Career Paths, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39aWHDr ბოლოს ნანახია: 13.05.2022

DEA, COUNTRY DATA, France (French Republic) 2022, ხელმისაწვდომია: https://www.idea.int/-data-tools/data/gender-quotas/country-view/86/35 ბოლოს ნანახია: 13.05.2022
Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4

FROGEE-ის პოლიტიკის ნარკვევი 3, დასკვნები საქართველოდან 2021; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wi9c9z, ბოლოს ნანახია: 13.05.2022

National Democratic Institute 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39jcVdy, ბოლოს ნანახია: 13.05.2022

United Nations General Assembly 1979, Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, ხელმისაწვდომია: https://www.un.org/womenwatch/daw/ce-daw/text/econvention.htm ბოლოს ნანახია: 13.05.2022

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

პუშკინის ქ. 13, 0107 თბილისი, საქართველო
info@gip.ge www.gip.ge

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS